ხელშეკრულება № 42
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ.თბილისი 1 მაისი, 2012 წელი

ერთის მხრივ, სსიპ "თბილისის მარიონეტების სახელმწიფო თეატრი" (შემდგომში "შემსყიდველი") მისი მმართველის ნათელა წიკლაურის სახით და მეორეს შპს "ინსტა" (შემდგომში "მიმწოდებელი") მისი დირექტორის გიორგი ბახსოლიანის სახით, "სეხლმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1 ხელშეკრულების საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2 შესყიდვის დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი.

2. **შესყიდვის ობიექტი**

2.1 შესყიდვის ობიექტი: ნათურები

2.2 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: CPV 3151910

3. **ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 28,5 ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4. **შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები**

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხორციელდება თანხის ჩარიცხვის დღიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

6. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლემოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. **ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი**

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარებში, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მოცულობის შესაბამისად, მიმწოდებლის საბანკო რეკვეზიტებზე.

7.2 მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდება მოხდება ანგარიშსწორბის განხორციელებისთანავე.

8. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარეე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან ერთი თვის ვადით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისატვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შ მთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიქისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარო მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დრიოთ, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნქ ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შ საძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის

დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.3 გამოვლენილი დეფექტიოს ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
სსიპ "თბილისის მარიონეტების სახელმწიფო თეატრი"	შპს "ინსტა"
ქ. თბილისი, შავთელის ქ.26 სს ლიბერთი ბანკი კოდი LBRTGE22 ანგ. GE09LB0121143080252000 საიდენტ. 204390159	ქ. თბილისი, ზაქარიაძის, 8 სს ბანკი რესპუბლიკა კოდი 220101757 ანგ. GE51BR0000000036082919 საიდენტ. 202057264
მმართველი ნათელა წიკლაური	დირექტორი გიორგი ბახსოლიანი
----------	----------

მიღება-ჩაბარების აქტი № 42

ქ. თბილისი

მაისი, 2012წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნ, ერთის მხრივ სსიპ "თბილისის მარიონეტების სახელმწიფო თეატრი", მისი მმართველის ნ.წიკლაურის სახით, და მეორეს მხრივ შპს "ინსტა" მისი დირექტორის გიორგი ბახსოლიანის სახით, ვადასტურებთ, რომ შემსყიდველმა მიიღო, ხოლო მიმწოდებელმა მიაწოდა 10 ცალი ნათურა.
შესყიდვის ღირებულება შეადგენს 28,5 ლარს დღგ-ს ჩათვლით.

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
სსიპ "თბილისის მარიონეტების სახელმწიფო თეატრი"	შპს "ინსტა"
ქ. თბილისი, შავთელის ქ.26 სს ლიბერთი ბანკი კოდი LBRTGE22 ანგ. GE09LB0121143080252000 საიდენტ. 204390159	ქ. თბილისი, ზაქარიაძის, 8 სს ბანკი რესპუბლიკა კოდი 220101757 ანგ. GE51BR0000000036082919 საიდენტ. 202057264
მმართველი ნათელა წიკლაური	დირექტორი გიორგი ბახსოლიანი